შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 55

2009 წლის 03 ივნისი
ქ. ბათუმი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, პროფ. ლელა თურმანიძის წარდგინების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი **დანართი 1**–ის შესაბამისად;
2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1.

სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (შემდგომში - წესი) შემუშავებულია "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. წინამდებარე წესის მიზანია რსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების, მათ განხორციელებაში მონაწილე პერსონალის, შესაბამისობის დადგენა საქართველოს კანონმდებლობასთან, უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებთან, ასევე, საზოგადოების მოთხოვნებთან.

3. შეფასების წესი ითვალისწინებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის მიმდინარეობის ორგანიზებულობისა და მიზანმიმართულობის ხარისხის, ქვეყნის კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას. ასევე სასწავლო კურსების დაგეგმვის ეფექტურობის, დაინტერესებული პირებისათვის გადაცემის, სტუდენტთა (მსმენელთა) ცოდნის შეფასებაში ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების არსებობის დადგენასა და შენარჩუნებას.

4. წესი უზრუნველყოფს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების სისტემატურ ხასიათს, შეფასების პროცესში სტუდენტების მონაწილეობას და მიღებული შედეგების საჯაროობას.

მუხლი 2. შეფასებას დაქვემდებარებული სტრუქტურული დანაყოფები და პერსონალი

წინამდებარე წესის შესაბამისად შეფასებას ექვემდებარება:

ა. უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები,– ფაკულტეტები და მათში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულები: დეპარტამენტები, კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები, ასევე ბიბლიოთეკა.

ბ. შეფასებას ექვემდებარება სასწავლო, სამეცნიერო და კვლევით სფეროში დასაქმებული პერსონალი.

გ. უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამები.

მუხლი 3. შეფასების სახეები და მეთოდები

1. წინამდებარე წესით დადგენილ შეფასებას დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეული და პერსონალი ვალდებულია მოახდინოს თვითშეფასება, მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის მიზნით.

2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მუხლი 2-ით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის, აგრეთვე პროგრამების საუნივერსიტეტო შეფასებას, რისთვისაც გამოიყენებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, სააუდიტორიო მეცადინეობებზე სწრებადობის ანალიზს, ატარებს კვლევებს: აკადემიური პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ, საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების ეფექტურობის შეფასება სტუდენტებისა და დამსაქმებლების მიერ.

3. თვითშეფასების ჩატარების შემდეგ სტრუქტურული ერთეული მოვალეა აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს ანგარიში ყოველწლიურად გაწეული სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შესახებ. ანგარიში უნდა შეიცავდეს:

ა. ძირითადად სასწავლო პროცესების სრულყოფაში მიღწეულ შედეგებს (სასწავლო დისციპლინების მიხედვით სახელმძღვანელოებით, სალექციო კურსებით, პროგრამებით, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფა; სასწავლო პროცესებში კომპიუტერული და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება და ამ მიზნით სპეციალური აუდიტორიების მოწყობა და ა.შ.);

ბ. პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადების სტატისტიკას: (გამოშვებული მაგისტრები, დოქტორანტები, მათი სტაჟირება საქართველოს და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და სამეცნიერო დაწესებულებებში);

გ. მიღებული სამეცნიერო შედეგებისა და ახალი ტექნოლოგიების აღწერას;

დ. გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული სამეცნიერო ნაშრომების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების და პატენტების ნუსხას;

ე. მოპოვებული სამეცნიერო პროგრამების, გრანტებისა და სტიპენდიების ნუსხას;

3. საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებში მონაწილეობას (დეპარტამენტების შემთხვევაში სასწავლო კურსების/მოდულების ჩამონათვალი, სილაბუსებთან ერთად);

4. აკადემიურ საბჭოზე ანგარიშის წარდგენის მომენტისათვის უნივერსიტეტის Web-გვერდზე ასახული უნდა იყოს ანგარიშის შესაბამისი ინფორმაცია;

5. აკადემიური საბჭო ქვედანაყოფის ანგარიშს განიხილავს მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აღნიშნული ერთეულის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასებისა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. სამსახური შეფასების პროცესს აწარმოებს კომისიური წესით, რისთვისაც უფლებამოსილია აღნიშნულ პროცესში ჩართოს კვალიფიციური ექსპერტები.

6. კომისია ეცნობა ქვედანაყოფის ანგარიშსა და შესაბამის ინფორმაციას Web – გვერდზე.

7. კომისია უფლებამოსილია:

ა. მოითხოვოს ქვედანაყოფის/სტრუქტურული ერთეულის მიერ მიღებული ძირითადი სასწავლო და სამეცნიერო შედეგების საჯარო განხილვა შესაბამისი ერთეულის/ქვედანაყოფის წარმომად-გენლობით ღია სხდომაზე.

ბ. შეფასებისათვის გამოითხოვოს და გამოიყენოს შესაფასებელი ერთეულის ნებისმიერი პერსონალის პირადი მასალები;

გ. გაეცნოს ცალკეული პერსონალის თვითშეფასებას;

დ. გაითვალისწინოს ამ კონკრეტული შესაფასებელი ქვედანაყოფის სასწავლო/სამეცნიერო მუშაობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ჩატარებული კვლევების მასალები.

8. აკადემიური საბჭო ეცნობა როგორც სტრუქტურული ერთეულის ანგარიშს, ასევე კომისიის დასკვნას და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, სტრუქტურული ერთეულის მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესების ან რეორგანიზაციის შესახებ, ასევე რეკომენდაციას აძლევს პერსონალს, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის აიღოს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება.

9. სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით აკადემიური საბჭო აწესებს პრემიას, საკვალიფიკაციო კომისიის მიერ გამოვლენილი საუკეთესო მაჩვენებლების მქონე აკადემიური პერსონალის/მეცნიერ - თანამშრომლისათვის. პერსონალის შეფასება მოხდება დანართი 1-ით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (დანართით განსაზღვრული აქტივობა უნდა შეესაბამებოდეს შესაფასებელი პერსონალის სამეცნიერო მიმართულებას).

10. დეპარტამენტი, მის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის თვითშეფასების, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების დანერგვის, განვითარებისა და შენარჩუნების მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ახორციელებს სააუდიტორიო მეცადინეობებზე აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრებასა და ურთიერთშეფასებას, წინასწარ განსაზღვრული განრიგით.

11. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის სწორი გამოყენების უზრუნველყოფის, ასევე სტუდენტთა ცოდნის შეფასების სანდოობისა და ობიექტურობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამისი დეკანატი ვალდებულია პერიოდულად შეამოწმოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი სპეციალური ფორმების (მეცადინეობაზე დასწრების აღრიცხვისა და შეფასების ჟურნალების, უწყისებისა და სტუდენტთა პირადი საქმეების) წარმოების შესაბამისობა მიღებულ ნორმატიულ და ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტებთან.

12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, რის საფუძველზეც დგინდება:

ა. საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხი;

ბ. შეფასებისას გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა პროგრამის მიზნებთან და სტუდენტთა ჯგუფის შესაძლებლობებთან;

გ. სტუდენტების მომზადების დონე.

13. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ სააუდიტორიო მეცადინეობების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ასპექტები:

ა. კურსის აღწერასა (სილაბუსსა) და კურსის მოწოდებულ შინაარსს შორის თანხვედრა;

ბ. სახელმძღვანელოების, ცნობარების, სალექციო ჩანაწერებისა და კურსის სხვა მასალების ხელმისაწვდომობა.

გ. სახელმძღვანელოს (-ების) შესატყვისობა ლექციების შინაარსთან.

დ. რამდენად ახდენს მასწავლებელი იმ მკვლევარებისა და თეორეტიკოსების ნაშრომების ციტირებას, საიდანაც აღებული აქვს სასწავლო მასალა.

ე. რამდენად ორგანიზებულად, ლოგიკურად და ამომწურავად არის წარმოდგენილი მიწოდებული ინფორმაცია, რამდენად შეუძლია მასწავლებელს მაგალითების მოტანა, ტერმინების განმარტება, კონცეფციების და თეორიების ახსნა, სტუდენტებისთვის კურსის შინაარსის გაგებაში დახმარების გაწევა.

ვ. რამდენად ოსტატურად იყენებს მასწავლებელი დამხმარე სასწავლო საშუალებებს ინფორმაციის მისაწოდებლად.

ზ. რამდენად ახერხებს მასწავლებელი მოცემული კურსის შინაარსის ინტეგრირებას სხვა დისციპლინასთან და რამდენად არის ორიენტირებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებებზე.

თ. რამდენად ობიექტური და გამჭვირვალეა სტუდენტთა ცოდნის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

14. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია პერიოდულად აწარმოოს სტუდენტთა ჯგუფების მიერ სხვადასხვა სასწავლო კურსებზე სწრებადობის შედარებითი ანალიზი. შესაბამისი დასკვნების საფუძველზე კი შეიმუშაოს რეკომენდაციები სტუდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებანი

სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დანართი 1

აკადემიური პერსონალის (მეცნიერ-თანამშრომლის) შეფასების კრიტერიუმები

1. **სამეცნიერო ნაშრომები** (თანაავტორობით შესრულებული ნაშრომის შემთხვევაში ქულები იყოფა თანაავტორთა რაოდენობაზე)

1.1. სახელმძღვანელო - 20 ქულა;

1.2. მონოგრაფია - 15 ქულა;

1.3. სამეცნიერო კრებული – 10 ქულა;

1.4. სასწავლო საცნობარო ლიტერატურა – 6 ქულა;

1.5.იმპაქტ-ფაქტორის მქონე ან რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია - 8 ქულა; სტატია სხვადასხვა გამოცემებში - 3 ქულა;

1.6.სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის, სამეცნიერო კრებულის/ რედაქტორობა - 5 ქულა;

1.7. სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის,სამეცნიერო კრებულის/რეცენზირება – 3 ქულა;

1.8. სამეცნიერო ჟურნალის, შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობა – 3 ქულა, წევრობა - 2 ქულა;

1.9. ციტირების სიხშირე: დაბალი (1-5 ციტირება) - 5 ქულა; საშუალო (6-10 ციტირება) – 8 ქულა, მაღალი (10 - ზე მეტი ციტირება) – 10 ქულა, (ციტირების სიხშირე დგინდება სპეციალური კლასიფიკატორით).

2. **სამეცნიერო მოხსენებები**

2.1. საერთაშორისო კონფერენციაზე, კონგრესზე და ა.შ. სამეცნიერო მოხსენება - 7 ქულა;

2.2. ადგილობრივ კონფერენციაზე, კონგრესზე და ა.შ. სამეცნიერო მოხსენება - 4 ქულა;

3. **სამეცნიერო გრანტები**

3.1. დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა - 10 ქულა; მენეჯერობა – 6 ქულა, მონაწილეობა - 5 ქულა;

3.2. დაუფინანსებელი გრანტის (80 ქულა და მეტი შეფასებით) ხელმძღვანელობა– 4 ქულა მონაწილეობა – 2 ქულა;

4. ახალგაზრდა მეცნიერების მომზადება/ ხელმძღვანელობა

4.1. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელობა - 7 ქულა;

4.2. დოქტორის მომზადება დოქტორანტის ხელმძღვანელობა - 6 ქულა, მაქსიმუმ 12 ქულა, დოქტორანტის ხელმძღვანელობა - 3 ქულა, მაქსიმუმ 6 ქულა.

4.3. დისერტაციის ოპონირება - 3 ქულა, მაქსიმუმ 6 ქულა;

4.4. (პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო/სარეზიდენტო) პროგრამის ხელმძღვანელობა - 5 ქულა;

4.5. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელობა (რეზიდენტის ლოკალური ხელმძღვანელობა)- 3 ქულა, მაქსიმუმ 6 ქულა.

5. თანამედროვე სასწავლო პროგრამების ჩამოყალიბება განვითარება

5.1. ელექტრონული სალექციო კურსების მომზადება და დანერგვა - 8 ქულა;

5.2. კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მომზადება და დანერგვა - 6 ქულა;

5.3. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგების გავლა - 3 ქულა, მაქსიმალური 6 ქულა;

5.4. საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება (კურიკულუმის კომიტეტეტის წევრობა) - 3 ქულა;

5.5.პროფესიული კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები - 0-15 ქულა (ფასდება გასაუბრებითა და სილაბუსების განხილვით);

5.6. სალექციო კურსის (მოდულის) ხელმძღვანელობა - 4 ქულა, მაქსიმუმ 8 ქულა;

6. **პატენტი** (საავტორო მოწმობა)

6.1. უცხოური პატენტი (საავტორო მოწმობა)- 5 ქულა, მაქსიმუმ 10 ქულა;

6.2. ადგილობრივი პატენტი (საავტორო მოწმობა) - 4 ქულა, მაქსიმუმ 8 ქულა;

7. სამეცნიერო სტიპენდია, პრემია

7.1. საერთაშორისო სამეცნიერო სტიპენდია - 8 ქულა, 16 ქულა;

7.2. ადგილობრივი სამეცნიერო სტიპენდია - 4 ქულა, მაქსიმუმ 8 ქულა;

7.3. საქათველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობა - 20 ქულა;

7.4. დარგობრივი სამეცნიერო აკადემიების წევრობა - 5 ქულა;

7.5.სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიღებული სახელმწიფო ჯილდო – 5 ქულა;

8. სამეცნიერო კონგრესის,კონფერენციის, სიმპოზიუმის ორგანიზება

8.1. სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის ორგანიზება - 5 ქულა;

9. **სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის სხდომის თავმჯდომარეობა**

9.1. სამეცნიერო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის თავმჯდომარეობა - 4 ქულა.

საკვალიფიკაციო კომისია უფლებამოსილია გაითვალისწინოს პერსონალის მიერ მითითებული სხვა აქტივობებიც, კონკრეტული აქტივობისათვის შეფასების ქულის დადგენა ხდება კომისიურად და ფიქსირდება ოქმში.